

საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 19.02.2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.04.001.016100) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ.ე) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის წარდგინებით გამგეობის/მერიის თანამდებობის პირთა (გარდა საჯარო მოხელეთა) თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ფარგლებში;“.

2. 31-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსსა და აპარატის მოსამსახურეებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ან დებს მათთან ადმინისტრაციულ/შრომით ხელშეკრულებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.“

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 პუნქტები:

„3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობებს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენლ ფარგლებში, განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. საკრებულოს აპარატის უფროსისა და აპარატში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული სხვა საჯარო მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოების ოდენობებს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენლ ფარგლებში, განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო.“

4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობას, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენლ ფარგლებში, განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო.“

3. 35-ე მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეების თანამდებობაზე დანიშნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების (მათთან ადმინისტრაციული/შრომითი ხელშეკრულების დადებისა და შეწყვეტის) თაობაზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;“;

ბ) „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) იღებს გადაწყვეტილებებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა წახალისებისა და საჯარო მოსამსახურეთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების შესახებ;“.

4. 39-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 39. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის თანამდებობრივი შეუთავსებლობა

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხები წესრიგდება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით.“.

5. 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს სხვა თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ქვედა და ზედა ზღვარი დადგენილია „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზრაურების შესახებ“ საქართველოს კანონით.“

6. 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება აგრეთვე „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირისთვის შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების ან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში.“

7. 53-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 53. გამგეობის/მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები (შრომის ანაზრაურების ოდენობა)

1. მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მისი მოადგილის თანამდებობრივი სარგოების ოდენობებს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზრაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ფარგლებში, განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

2. გამგეობის/მერიის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობებს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზრაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ფარგლებში, განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

3. გამგეობაში/მერიაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობებს, გამგებლის/მერის წარდგინებით, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზრაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ფარგლებში, განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

4. გამგეობაში/მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობას, გამგებლის/მერის წარდგინებით, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზრაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ

ფარგლებში, განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო.”

8. 54-ე მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ა.დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.დ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგეობის/მერიის მოსამსახურეებს ან დებს და წყვეტს მათთან ადმინისტრაციულ/შრომით ხელშეკრულებას „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;“;

ბ) „ა.ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ზ) იღებს გადაწყვეტილებებს გამგეობის/მერიის მოხელეთა წახალისებისა და საჯარო მოსამსახურეთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების შესახებ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;“.

9. 55-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 55. გამგებლის/მერის თანამდებობრივი შეუთავსებლობა

გამგებლის/მერის თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხები წესრიგდება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“.

10. 56-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირისთვის შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება;“.

11. 58-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 58. გამგებლის/მერის პირველი მოადგილისა და მოადგილის თანამდებობრივი შეუთავსებლობა

გამგებლის/მერის პირველი მოადგილისა და მოადგილის თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხები წესრიგდება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“.

12. მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) უნაწილებს ფუნქციებს სტრუქტურული ერთეულის მოხელეებს;

გ) გამგებელს/მერს წარუდგენს წინადადებებს სტრუქტურული ერთეულის საკადრო საკითხებთან დაკავშირებით; სტრუქტურული ერთეულის მოხელეთა წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის, შვებულების, სამსახურებრივი მივლინების, კვალიფიკაციის ამაღლებისა შესახებ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;

დ) განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის წესებს, ფორმებსა და მეთოდებს; სტრუქტურული ერთეულის მოხელეთა თანამდებობრივ მოვალეობებს;“.

13. 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „ნ“-„პ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) ამ კანონით დადგენილი წესით თანამდებობებზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თბილისის მერიის თანამდებობის პირებს; თანამდებობებზე ნიშნავს და თანამდებობებიდან ათავისუფლებს თბილისის მერიის მოხელეებს, მერიის სხვა საჯარო მოსამსახურეებთან დებს და წყვეტს ადმინისტრაციულ/შრომით ხელშეკრულებას, გარდა ამ კანონის 82-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;

ო) თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს თბილისის მერიის (გარდა ტერიტორიული ორგანოსი) თანამდებობის პირთა და ადმინისტრაციულ/შრომითი ხელშეკრულებით სასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობებს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზრაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ფარგლებში.

პ) უნაწილებს ფუნქციებს თბილისის მერიის მოხელეებს; დავალებებს აძლევს თბილისის მერიის თანამდებობის პირებს და ისმენს მათ ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ;“;

ბ) „რ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) იღებს გადაწყვეტილებებს თბილისის მერიის მოხელეთა წახალისებისა და საჯარო მოსამსახურეთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების შესახებ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;“.

14. მე-80 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. რაიონის გამგეობის ტიპურ დებულებასა და საშტატო ნუსხას, თბილისის მერის წარდგინებით, ამტკიცებს თბილისის საკრებულო.“.

15. 82-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რაიონის გამგეობის თანამდებობის პირებსა და რაიონის გამგეობის მოხელეებს; დებს და წყვეტს ადმინისტრაციულ/შრომით ხელშეკრულებას კანონით გათვალისწინებულ პირებთან და განსაზღვრავს მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობას, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზრაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ფარგლებში.

16. 101-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მუნიციპალიტეტი ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მიმართავს შრომის ანაზრაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტს.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გ. მარგველაშვილი

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მომზადება განაპირობა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (ახალი რედაქცია) პროექტის შინაარსმა, რომელიც ერთმანეთისგან მიჯნავს საჯარო მოსამსახურეთა სამ კატეგორიას: მოხელეებს, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებსა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს, რაც საჭიროებს ტერმინოლოგიური ხასიათის ცვლილებას საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

გარდა ზემოაღნიშნულისა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (ახალი რედაქცია) პროექტის შინაარსიდან გამომდინარე, ცვლილებას საჭიროებს მუნიციპალიტეტის ცალკეულ თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების (შრომის ანაზღაურების ოდენობის) განსაზღვრის საკითხი.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (ახალი რედაქცია) პროექტთან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს შემდეგ ცვლილებებს:

კანონის რიგ მუხლებში (31-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ო“ ქვეპუნქტები, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ და „ა.ზ“ ქვეპუნქტები, მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტები, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“, „პ“ და „რ“ ქვეპუნქტები, 82-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და 101-ე მუხლის მე-2 პუნქტი) ერთმანეთისგან იმიჯნება მოხელეების, აგრეთვე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებითა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საკადრო საკითხებთან დაკავშირებული რეგულაციები.

იცვლება ადგილობრივი თვითმმართველობის ზოგიერთი პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების (შრომის ანაზღაურების ოდენობის) განსაზღვრის წესი. კერძოდ:

- საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის/მერის თანამდებობრივი სარგოების მსგავსად, საკრებულოს სხვა თანამდებობის პირთა და გამგებლის/მერის მოადგილეთა

თანამდებობრივი სარგოების ოდენობის ფარგლები განისაზღვრება “საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზრაურების შესახებ“ საქართველოს კანონით.

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა და მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობებს, “საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზრაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ფარგლებში, განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.
- საკრებულოს აპარატში ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული სხვა პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობებს, “საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზრაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ფარგლებში ადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- გამგეობაში/მერიაში ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისა თანამდებობრივი სარგოების ოდენობას “საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზრაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ფარგლებში, გამგებლის/მერის წარდგინებით ადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულო.
- კოდექსის შესაბამის მუხლებში იცვლება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის სათაური.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ცვლილებას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

არ იწვევს ფინანსურ შედეგებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის

გადასახდელის დადგენას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.